

შპს “აგრონეტ“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
განმარტებითი შენიშვნები	7
ბოლო გვერდი	11

შპს „აგრონეტ“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 ლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ათას ლარებში

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	3	317	368
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	823	838
წინასწარ გადახდილი გადასახადები		26	65
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	5	952	1,268
სულ მიმდინარე აქტივები		2118	2,539
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		172	215
სულ გრძელვადიანი აქტივები		172	215
სულ აქტივები		2290	2754
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6	1,939	1959
მიმდინარე სასესხო ვალდებულება		38	38
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,977	1997
სულ ვალდებულებები		1,977	1997
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		313	757
სულ საკუთარი კაპიტალი		313	757
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		2290	2754

ხელმოწერი პირი:



დირექტორი

შპს „აგრონეტ“

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2020 ლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ათას ლარებში

	შენიშვნები	2020
ამონაგები	7	1839
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	8	(1555)
საერთო მოგება		284
ადმინისტრაციული ხარჯი	9	(515)
ნეტო კურსთა შორის სხვაობა		(77)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(136)
მოგება დაბეგრამდე		(444)
მოგების გადასახადის ხარჯი		-
წმინდა ზარალი/მოგება		(444)

ხელმოწერი პირი:



დირექტორი

შპს „აგრონეტ“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ათას ლარებში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი, 2019	-	757	757
პერიოდის მოგება	-	(444)	(444)
31 დეკემბერი, 2020	-	313	313

ხელმომწერი პირი:



დირექტორი

შპს

„აგრონეტ“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერი
ათას ლარებში

	2020
მოგება დაბეგვრამდე	(444)
კორექტირება	
ცვეთა და ამორტიზაცია	43
ნეტო კურსთა შორის სხვაობა	77
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
(ზრდა)/კლება სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(15)
(ზრდა)/კლება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	(47)
ზრდა/(კლება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(103)
(კლება)/ზრდა საგადასახადო ვალდებულებები	(15)
ფულადი ნაკადების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან	820
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ძირითადი საშუალებების შეძენა	(32)
ფულადი ნაკადების გასვლა საინვესტიციო საქმიანობიდან	(32)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	
ფულადი ნაკადების შემოსვლა საფინანსო საქმიანობიდან	-
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	(19)
საკურსო სხვაობა ფულად სახსრებზე	(32)
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	368
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	317

ხელმოწერილი პირი:



დირექტორი

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „აგრონეტ“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (ს/ნ 406137657) , რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში, 2015 წლის 21 ივნისიდან. საქართველოს კანონმდებლობის და დებულებების შესაბამისად. რეგისტრაციის მისამართი: საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ვარკეთილი 3, IIIა მ/რ, კორ. 338, ბ. 173.

კომპანიის მეწილეები არიან - 50%-ალი სამი ოზელი, 14539596248, U11107639 /თურქეთი/ და 50%-ქვემალ ქაპრამან, 01591007807 /თურქეთი/.

კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს კომპანიის დირექტორი - ნელი გეთიაშვილი.

შპს „აგრონეტ“ **ვაჭრობს სანტექნიკური მოწყობილობებით.**

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31-დეკ-19	31-დეკ-20
1 USD/GEL	2.8677	3.2766
1 EUR/GEL	3.2095	4.0233

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოების (IFRS for SME) 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად. ეს არის კომპანიის მიერ პირველად მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება 2020 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, 2020 წლის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძველად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს განგრძობითობის რისკის დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების წამგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა-დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები	10%
შენობა ნაგებობები	5%
ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	5%

ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება გამოითვლება პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში (ფიფო) მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო ვადა აღემატება სტანდარტულ საკრედიტო ვადას, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება უნდა გადაიხედოს, რათა მოხდეს იმის განსაზღვრა არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი. ასეთ შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა.

3. ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2020
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	257	317
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	103	0
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	8	0
სულ ფულადი სახსრები	368	317

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო მოთხოვნები	838	823
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	838	823

5. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2020
მზა პროდუქცია	1163	919
სხვა მასალები	102	31
მასალები	3	2
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	1,268	952

6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო ვალდებულებები	1,959	1939
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,959	1939

7. ამონაგები

ამონაგები	2020
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	1843
ფასდათმობა	(4)
სულ ამონაგები	1839

8. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	2020
მომსახურების ღირებულება	1412
მასალების ღირებულება	143
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	1555

9. ადმინისტრაციული ხარჯი

ადმინისტრაციული ხარჯი	2020
ხელფასის ხარჯი	385
ცვეთის ხარჯი	43
სხვა ხარჯი	87
სულ ადმინისტრაციული ხარჯი	515

10. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ეს ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტმა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 30 სექტემბერს.